Tax and Legal Newsletter

bakertilly

ცვლილება საგადასახადო კანონმდებლობაში

2021 წლის 25 მაისს, საქართველოს პარლამენტმა მოახდინა „საქართველოსა და იაპონიას შორის შემოსავლებზე ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილებისა და გადასახადების გადაუხდელობისა და გადასახადებისთვის თავის არიდების აღკვეთის შესახებ“ კონვენციის რატიფიცირება. ასევე რატიფიცირებულ იქნა „საქართველოსა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სპეციალურ ადმინისტრაციულ რეგიონ ჰონგ კონგს შორის შემოსავლებსა და კაპიტალზე ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილებისა და გადასახადების გადაუხდელობის და გადასახადების თავიდან არიდების აღკვეთის შესახებ“ შეთანხმება.

მაისის თვეში საგადასახადო საკითხებთან დაკავშირებით კანონმდებლობაში სხვა რაიმე მნიშვნელოვანი სიახლე არ განხორციელებულა.

სხვა საკანონმდებლო სიახლეები

მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის პროექტის განხილვა

2021 წლის 28 მაისს, საქართველოს პარლამენტმა პირველი მოსმენით მიიღო მეწარმეთა შესახებ ახალი კანონის პროექტი.

მეწარმეთა შესახებ ახალი კანონის პროექტი მნიშვნელოვან სიახლეებს ითვალისწინებს სამეწარმეო ურთიერთობის მონაწილეთათვის, ახლებურად რეგულირდება კომპანიის პარნიორებს შორის ურთიერთობები, სამეწარმეო საზოგადოებების დაფუძნების, რეორგანიზაციის, ინდივიდუალური მეწარმის რეგისტრაციის საკითხები, პარტნიორთა კრების კომპეტენცია, სამეთვალყურეო საბჭოს უფლებამოსილებები, კონკურენციის ასევე რეესტრის საჯაროობის საკითხები.

მეწარმეთა შესახებ ახალი კანონის პროექტი ითვალისწინებს ყველა იმ არსებითი საკითხის რეგულირებას, რაც გათვალისწინებულია ევროკავშირის დირექტივებით და მოწინავე ქვეყნების საკორპორაციო სამართლის მიდგომებით. კანონის სამივე მოსმენით მიღების შემდეგ ის ჩაანაცვლებს 1994 წელს მიღებულ მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონს.

კანონპროექტით შემოთავაზებული სიახლეების შესახებ უფრო დეტალური ინფორმაცია მოცემულია ჩვენს 2021 წლის თებერვლის საკანონმდებლო სიახლეების მიმოხილვაში.

აღსრულების კოდექსის პროექტის განხილვა

2021 წლის 28 მაისს, საქართველოს პარლამენტმა პირველი მოსმენით მიიღო აღსრულების კოდექსის პროექტი, რომლითაც აღსრულების სრულიად ახალი სისტემა ყალიბდება.

კანონპროექტით შემოთავაზებული სიახლეებიდან მნიშვნელოვანია აღმასრულებელთა პალატის ინსტიტუტის შემოღება, მისი მოწყობისა და საქმიანობის სამართლებრივი საფუძველების განსაზღვრა.

კანონპროექტით ცალკეულ აღმასრულებლებს განესაზღვრებათ სამოქმედო ტერიტორია. შესაბამის სამოქმედო ტერიტორიაზე აღსასრულებელი საქმეები ავტომატური განაწილების ელექტრონული სისტემის მეშვეობით გადანაწილდება.

აღსრულების ეროვნული ბიურო შეინარჩუნებს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსს. კანონპროექტის თანახმად, ბიუროში განსაზღვრული კატეგორიის საქმეთა აღსრულებას უზრუნველყოფს ინსპექტორი. პროექტით იმიჯნება აღსრულების ეროვნული ბიუროსა და ნოტარიუსის კომპეტენცია.

აღსრულების კოდექსის მიღება მიზნად ისახავს უკვე მოძველებული და ხარვეზიანი სააღსრულებო წარმოებათა შესახებ საქართველოს კანონის ჩანაცვლებას.

კანონპროექტით შემოთავაზებული სიახლეების შესახებ უფრო დეტალური ინფორმაცია მოცემულია ჩვენს 2021 წლის თებერვლის საკანონმდებლო სიახლეების მიმოხილვაში.

სასამართლო პრაქტიკა

საინტერესო მსჯელობა გვხვდება საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2021 წლის 27 მაისის განჩინებაში სასაქონლო ნიშნების დაცვასთან დაკავშირებით საკუთრების უფლების მარეგულირებელი წესების გამოყენების თაობაზე.

საკასაციო პალატამ მიუთითა, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მიხედვით, სასაქონლო ნიშანი, ეროვნული კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით მისი რეგისტრაციის მომენტიდან, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის პირველი მუხლით დაცულ „ქონებას“ წარმოადგენს (Anheuser-Busch Inc. v. Portugal), შესაბამისად, რეგისტრაციის პროცედურების დასრულების შემდეგომ სასაქონლო ნიშანი ხდება საკუთრების ობიექტი და მასზე ვრცელდება საკუთრების დაცვის ყველა სამართლებრივი რეგულაცია. ზოგიერთ შემთხვევაში არა მხოლოდ სასაქონლო ნიშნის რეგისტრაცია, არამედ თავად რეგისტრაციის განაცხადი და სასაქონლო ნიშანზე განსაკუთრებული უფლების მაძიებლის სამართლებრივი სტატუსიც კი უკვე შესაძლებელია წარმოშობდეს ისეთ ქონებრივ უფლებებს, რომლებიც ექცევა პირველი ოქმის პირველი მუხლით გათვალისწინებული „ქონების“ ცნებაში.

საკასაციო სასამართლომ მიუთითა, რომ რეგისტრაციის პროცედურების დასრულების შემდგომ სასაქონლო ნიშანი ხდება საკუთრების ობიექტი და მასზე ვრცელდება საკუთრების დაცვის ყველა სამართლებრივი რეგულაცია.

Contact information

Bakertilly Georgia
7 Bambis Rigi, 0105, Tbilisi.
(+995 32) 2438 999

office@bakertilly.ge
www.bakertilly.ge

This newsletter contains information about Legal, Tax and court practice latest updates. Every effort is made to provide accurate and complete information. However, Baker Tilly Georgia cannot guarantee that there will be no errors. These informational materials are not intended, and should not be taken, as legal or tax advice on any particular set of facts or circumstances. Please, contact our professionals for specific Tax or Legal issues.

Baker Tilly Georgia Ltd trading as Baker Tilly is a member of the global network of Baker Tilly International Ltd., the members of which are separate and independent legal entities.